# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 103

“6” აპრილი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 30 მარტის N05-1/150891490 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 25 მარტის N12.15.326 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, დანართი N1 შესაბამისად, ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრისათვის უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით, დანართი N2 პირობებით, გადაცემის შესახებ .

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე      გიორგი ალიბეგაშვილი